საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020138908548621

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/6605 **20 / სექტემბერი / 2021 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ
სააგენტოს სახელმწიფო ქონების
პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2021 წლის 31 აგვისტოს #6/55331 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის, დაბა აბასთუმანში მდებარე 3417 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 61.11.22.507), სააგენტოში არსებული ინფორმაციით მდებარეობს, აბასთუმნის მინერალური (თერმული) წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის მესამე (სამეთვალყურეო) ზონაში.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის #161 დადგენილების („სასაგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების თაობაზე“) მე-8 მუხლის თანახმად „მესამე – სამეთვალყურეო ზონა უშუალოდ ესაზღვრება მეორე ზონას და მოიცავს მიწისქვეშა წყლის ფორმირებისა და გავრცელების არეალს, აგრეთვე ტერიტორიებს, რომელთა სანიტარიული ზონისათვის დადგენილი წესების დაუცველად გამოყენებამ და არასასურველმა მდგომარეობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მიწისქვეშა წყლის საბადოების ჰიდროგეოლოგიურ რეჟიმზე.

მესამე ზონაში დაშვებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის რესურსებსა და საბადოს ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე.

პატივისცემით,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცებულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე